ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 58

21 ივნისი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა
კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე.
სხდომას ესწრებოდა:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო და კენჭი უყარა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.
(#11-01191702933; 11-01191623165; #11-01191633632; #11-0119165581; #11-01191712389)

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.

გაიოზ თალაკვაძის განმარტებით შესათანხმებლად წარმოდგენილია ზოგიერთი საქალაქო სამსახურის და რაიონული გამგეობების მოთხოვნები კვარტალურ ცვლილებებთან დაკავშირებით .ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის მოთხოვნით, პროგრამიდან „ საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების, შენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია“, ხდება 5 000 000 ლარის გადატანა მეორე კვარტლიდან მესამე კვარტალში. უნივერსიტეტისა და წყნეთის გზატკეცილის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის მოწოდება ვერ ხერხდება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მეორე კვარტალში, რის შედეგადაც აღნიშნული პროექტის განხორციელება დაიწყება მომდევნო კვარტლიდან. ასევე, ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაციის ფარგლებში საგზაო ნაწილის გარდა გათვალისწინებულია ტროტუარების და არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მოდერნიზაცია და გარე განათების ქსელის სრული რეკონსტრუქცია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოები. დაგეგმილი სამუშაოების განხორციელება დაიწყება კომუნიკაციების მოწყობითი სამუშაოების დასრულების შემდეგ. აქედან გამომდინარე, სამსახურის მოთხოვნით მეორე კვარტლიდან , საერთო ჯამში 5 800 000 ლარის გადატანა ხდება მესამე კვარტალში პროგრამებში: „კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები“ (3 800 000 ლარი) და „გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“ (2 000 000 ლარი).

მთაწმინდის რაიონის გამგეობის დაკვეთით, შპს „გრინსერვისი +“ აწარმოებს დ.ჭონქაძის ქუჩაზე მდებარე ვილნიუსის სკვერის სარეაბლიტაციო სამუშაოებს. სამუშაოების წარმოების პროცესში აღმოჩენილმა ახალმა გარემოებებმა გამოიწვია საპროექტო დოკუმენტაციის რამოდენიმე ცვლილება, რამაც გამოიწვია შესყიდვის ობიექტების მიწოდების ვადის გადაწევის აუცილებლობა, რის გამოც გამგეობა ითხოვს „კეთილმოწყობის ღონისძიებების“ პროგრამაში (კოდი 02 09 19) 790 000 ლარის გადატანას მეორე კვარტლიდან მესამე კვარტალში.

ბაგა-ბაღების სააგენტოს მოუწია ყაზტრანსგაზ-თბილისის, სურსათის ეროვნული სააგენტის და სსიპ „112“-ის მიერ დაწერილი რეკომენდაციების აღმოსაფხვრელად საჭირო შესყიდვების განხორციელება, გარდა ამისა გაიზარდა ბაღის თანამშრომელთა სახელფასო ფონდი 2%-ით საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით. აღნიშნულმა გამოიწვია მეორე კვარტალში სუბსიდიის მუხლში დეფიციტი, რაც შესაძლებელია გადმოტანილი იქნას მეოთხე კვარტლიდან.

გლდანის რაიონის გამგეობა, მოსალოდნელი შესრულებების ფარგლებში , ითხოვს „კეთილმოწყობის ღონისძიებების“ პროგრამის არაფინანსური აქტივების მუხლში , მეორე კვარტალში 350 000 ლარის დამატებას , „ კაპიტალური ტრანსფერის მუხლის“- 225 000 ლარით და „საქონელი და მომსახურების“ მუხლის- 71 400 ლარით შემცირების ხარჯზე. ასევე „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამაში „ მეორე კვარტალში ესაჭიროებათ 200 000 ლარის, ხოლო „სხვა სოციალური დახმარებების ღონისძიებების“ პროგრამაში 70 000 ლარის დამატება.

საბურთალოს რაიონის გამგეობის მოთხოვნით „გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამაში მეორე კვარტლიდან 500 000 ლარის გადატანა ხდება მესამე კვარტლში. როგორც გამგეობა წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რამდენიმე მისამართზე გზების ორმოული და კაპიტალური შეკეთების სამუშაოების დროს აღსადგენი აღმოჩნდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის ქსელი. ასევე ივნისის ბოლომდე ვერ ესწრება შეძენილი ფიტნეს ტრენაჟორების ჩამოტანა-განბაჟება და საყრდენი კედლების და საფეხმავლო კიბეების მოწყობაზე დაგეგმილი სამუშაოების ნაწილის შესრულება, ამიტომ ითხოვენ “კეთილმოწყობის ღონისძიებების“ პროგრამაში, მეორე კვარტლიდან 299000 ლარის გადატანას მეოთხე კვარტალში., ხოლო „სოციალური დახმარებების“ პროგრამაში მეორე კვარტალში დამატებით ესაჭიროებათ 149 000 ლარი. გარდა ამისა ივნისის ბოლომდე გასაცემი აქვთ ერთი ოჯახისათვის დახამარება 350 ლარის ოდენობით „გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურების“ პროგრამიდან, ასევე 500 ლარის დამატება სჭირდებათ პროგრამაში „ წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება“ ერთი ოჯახისათვის. ცვლილებები სჭირდება ასევე კრწანისის რაიონს. „გზების მოვლა-შეკეთების“პროგრამაში მეორე კვარტალში ემატება 70 000 ლარი, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაში არსებული ეკონომიების ხარჯზე. ისნის რაიონის გამგეობის მოთხოვნით „კეთილმოწობის ღონისძიებების“ პროგამაში მეორე კვარტალში ემატება 150 000 ლარი, ვინაიდან დასრულდა რაიონის ტერიტორიაზე არსებული უსახური ავტოფარეხების, სკვერების და სპორტულ მოედნებზე სხვადასხვა კონსტრუქციების დემონტაჟია და დაზიანებული ფრაგმენტების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები. დაბალანსება ხდება რაიონის „გზების მოვლა შეკეთების“ პროგრამაში მეორე კვარტალში არსებული ეკონომიით. ჩუღურეთის რაიონის გამგეობას „გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამაში მეორე კვარტალში მოსალოდნელი შესრულებებიდან გამომდინარე დამატებით სჭირდება 70 000 ლარი. ვაკის რაიონის გამგეობის მოთხოვნით „გზების მოვლა შეკეთების „ პროგრამას მეორე კვარტალში ემატება 60 000 ლარი, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში“ კი - 200 000 ლარი, რისი დაბალანსებაც ხდება გამგეობის აპარატში და სხვა პროგრამებში არსებული ეკონომიებით. „გზების მოვლა-შეკეთების პროგრამაში“ მეორე კვარტალში 200 000 ლარის დამატებას ითხოვს აგრეთვე სამგორის რაიონის გამგეობაც. ასევე წარმოდგენილია ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მოთხოვნა „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების“ პროგრამის ასიგნებების 150 000 ლარით გაზრდასთან დაკავშირებით. აღნიშნული ესაჭიროებათ დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით ტაქსით გადაყვანაზე „A“ და“B“ კატეგორიების ნებართვების აღებისთვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისათვის. კულტურის , განათლების , სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მოთხოვნით, პროექტის „ინკლუზიური თერაპიის ნორდოფ-რობინისის“ დაფინანსების მიზნით, პროგრამას „ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა“ ემატება 5 000

ლარი. გარდა ამისა ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მოთხოვნით „ც“ ჰეპატიტის დიაგნოსტიკის „ პროგრამას აკლდება 100 000 ლარი და ემატება „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობის“ პროგრამას, თავშესაფრის ტერიტორიაზე მცირე სამკერვალოს ასაშენებლად. ბენეფიციართა ზრდის გამო, 150 000 ლარით იზრდება „დაავადებათა სკრინინგის“ პროგრამის მეორე კვარტლის გეგმა. ასევე იზრდება მეორე კვარტალში „ სარეზერვო ფონდი“ 150 000 ლარით.

მომხრე -7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის რაიონული გამგეობები და საქალაქო სამსახურები ითხოვენ, მათზე მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილებას ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 და მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას დანართების შესაბამისად.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯომარე ირაკლი ზარქუა